





**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის საბა აბულაშვილის წითელი ბარათის ოქმი 22/05/2022;
2. წითელი ბარათის ოქმში აღნიშნული თამაშის წესების დარღვევის ამსახველი ვიდეომასალა;
3. მატჩის მსაჯის საბა აბულაშვილის წერილი 23/05/2022;
4. 21/05/2022 გამართული მატჩის, ბათუმის „ბათუმი“-სა და ბოლნისის „ყოჩებს“ შორის, მატჩის მეთვალყურის ოქმი;

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

1. ბოლნისის „ყოჩები“-ს მოთამაშე ნიკა ბიწაძე დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას წითელი ბარათით მისი გაძევების შესახებ, აღიარა მისი მხრიდან გაუფრთხილებლობით თამაშის წესის დარღვევა „მაღალი ბიჭვა, კონტაქტი მხრით სახის არეში“ და წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ.
2. ბოლნისის „ყოჩები“-ს წარმომადგენელმა ანტონ ფეიქრიშვილმა აღიარა მისი მხრიდან არაკორექტული საქციელი, კერძოდ მატჩის ოქმში მის მიერ ჩაწერილი მსაჯების შეფასება „სამარცხვინო მსაჯობა ცოტა მეტი პროფესიონალიზმი !!!“, განმარტა რომ ეს გამოწვეული იქნა მისი აზრით არაკორექტული მსაჯობით და წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 21/05/2022 გაიმართა დიდი 10-ს საჩემპიონო პლეიოფის მატჩი ბათუმის „ბათუმი“-სა და ბოლნისის „ყოჩებს“ შორის.
2. მატჩის მსაჯის საბა აბულაშვილის წითელი ბარათის ოქმის მიხედვით თამაშის მე-9 წუთზე ბოლნისის „ყოჩები“-ს მოთამაშემ ნიკა ბიწაძემ(#15) თამაშის წესების დარღვევით (მაღალი ბიჭვა) შებოჭა ღია თამაშში, მაღალი სისწრაფით მოძრავი მოწინააღმდეგე, ბოჭვისას მოხდა მბოჭავის მხრით კონტაქტი მოწინააღმდეგის სახის არეში. ვიდეომასალის განხილვისას აშკარად ჩანს ნიკა ბიწაძის მიერ სახიფათო ბოჭვა, ჩამოშვებული ხელით მხრით კონტაქტი მაღალ სისწრაფეზე მოძრავი ბურთიანი მოწინააღმდეგის სახის არეში. დაზარალებულმა მოთამაშემ მცირე სამედიცინო შემოწმების შემდეგ განაგრძო თამაში. ნიკა ბიწაძემ დაზარალებულ მოწინააღმდეგეს მყისიერად მოუბოდიშა სათამაშო მოედანზე.
3. თამაშის დასრულების შემდეგ, ბოლნისის „ყოჩები“-ს წარმომადგენელმა ანტონ ფეიქრიშვილმა მატჩის ოქმში ჩაწერა - „სამარცხვინო მსაჯობა ცოტა მეტი პროფესიონალიზმი !!!“.

**გადაწყვეტილება**

დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)
--------------------	----------------	------------	----------------



<b>სანქციების პროცედურა</b>	
<b>დარღვევის სიმძიმის შეფასება</b>	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული	
✓	
შეგნებული/წინასწარ განზრახული	წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი
დარღვევის გამომწვევი მიზეზი	
დამრღვევის გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი ქმედება	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
საშუალო	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
მხრით	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:	
არა	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:	
არა	
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):	
არა	
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):	
დაშავებულა მოთამაშემ გააგრძელა თამაში	
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე	
დაშავებულის დაცულობის ხარისხი	
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარ განსჯის უნარი;	
დამრღვევს გააჩნდა წინასწარ განსჯის უნარი	
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;	
შესრულდა	



დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.
არა

**დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 2-ის მიხედვით**

ზედა ზღვარი * <input type="checkbox"/> კვირა. შუა ზღვარი <input checked="" type="checkbox"/> 6(ექვსი) კვირა ქვედა ზღვარი <input type="checkbox"/> კვირა
---

\*ზედა ზღვართ შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:
არა

**შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:**

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
დამრღვევა აღიარა თამაშის წესების დარღვევა	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდლობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
	სამაგალითო
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება
მეისიერად, მოედანზე მოუბოდიშა დაზარალებულ მოწინააღმდეგეს	

დაკლებული კვირების რ-ბა: 3 (სამი) კვირა

**შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:**


მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;

დამატებითი კვირების რ-ბა: არა



## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	ნიკა ბიწაძე - 3 (სამი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	26/05/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	ამ დროისთვის უცნობია (სავარაუდოდ მომდევნო სათამაშო სეზონის I ტურის შემდეგ)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	<b>1.ბოლნისის „ყოჩები“-ს წარმომადგენელ ანტონ ფეიქრიშვილს მიეცეს გაფრთხილება და მის სადისციპლინო ისტორიაში მოხდეს შესაბამისი ჩანაწერი.</b> 2.დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს დისკვალიფიკაციის პერიოდში ეკრძალება ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ნებისმიერი დონის შეჯიბრებებში.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	25/05/2022
--------------------------	---	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.